



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1338
20/07/2018

ქალაქი ბათუმი

1338-05-4-201807201704



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.30.02.199.01.517) სარგებლობის ფორმით, იჯარის წესით გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №42 განკარგულებისა და მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაქაშვილის 2018 წლის 19 ივლისის №2046-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვებრძანებ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, შემდგომში მასზე ერთი სავაჭრო ჯიხურის N1-ის (ს/კ 22.30.02.199.01.517) სარგებლობის ფორმით, იჯარის წესით განკარგვა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.
3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დროებით სარგებლობაში გაიყვას 3 წლის ვადით.
4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“განისაზღვროს 180 (ასოთხმოცი) ლარის ოდენობით.
5. „ბიჯი“ განისაზღვროს 60 (სამოცი) ლარის ოდენობით.
6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქონების მართვის განყოფილებას.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა